ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4106271

ნომერი: AR1619404

თარიღი : 27.07.2018

გაცემის თარიღი : 06.08.2018

გაცნობის თარიღი : 06.08.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება გლდანი , მიკრო/რაიონი VI , კორპუსი N1 , - ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გრიგოლი გვენეტაძე პ/ნ 41001002996
- ქუთაისი გრ.გველესიანის I შეს. N 6

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2018 წლის 27 ივლისის NAR1619404 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებაზე მსჯელობა შესაძლებელია მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზის არსებობის შემთხვევაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად დგინდება, რომ მისასვლელი გზა თავსდება სარეკრეაციო ზონა-1-ში (რზ-1). აღნიშნული ფუნქციური ზონა წარმოადგენს სარეკრეაციო ქვეზონას, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა მსგავსი, გარდა სხვა სარეკრეაციო ზონებში მოქცეულისა; შესაბამისად აღნიშნულ ზონაში გზის განსათავსებლად საჭიროა საკითხი დააყენოთ ფუნქციური ზონის ცვლილებაზე.
ამასთან წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიმართ დგინდება შემდეგი შენიშვნები:
1. არებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) ტოპოგრაფიული გეგმა, მასშტაბი 1:500 -> ....ტოპოგრაფიული გეგმის pdf ფაილი :
ტოპოგრაფიული გეგმა უნდა იქნას დამოწმებული შემსრულებლის მიერ.

2. საინფორმაციო დაფა-ბანერი -> ....საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.:
საინფორმაციო დაფის ფოტოზე ასევე მიეთითოს შენობის სავარაუდო სართულიანობა.
თუ ასაშენებელი ობიექტ(ებ)ის ფართობი ტოლია ან აღემატება 4000 კვ.მ-ს საჭიროა წარმოადგინოთ საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საკვლევი (საჭიროების შემთხვევაში – საპროექტო ტერიტორიაზე) ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით (მათ შორის, ნაკადების რაოდენობის მიმართულებების მითითებით).

3. ექსპერტის დასკვნა მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების შესახებ -> დასკვნის ელექტრონული ფაილი:
წარმოსადგენია მიწის ნაკვეთზე შენობის განთავსების სქემა, რომელზეც შესაბამისად უნდა იქნას მონიშნული მოსაჭრელი, ან გადასარგავი ხე-მცენარეები ნუმერაციის მითითებით.

გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.